ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 120

ქ. თეთრიწყარო

18 დეკემბერი 2017 წელი

ერთის მხრივ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ შპს „მარკეტი დიდგორი" (შემდგომში "მიმწოდებელი") ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების დაწყებითი კლასების მოსწავლეთათვის და საბავშვო ბაღების აღსაზრდელთათვის საახალწლო საჩუქრების, ქართული წარმოების ნატურალური წვენების და ტკბილეულის: 1780 ცალი ნატურალური წვენი „ჩერო"-ს /15321000-CPV/, 1780 ცალი შოკოლადი „ბარამბინო"-ს, და 1780 ცალი „ჩუპა-ჩუპსი"-ს /15842100-CPV/, შესყიდვა.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს - 4005 (ოთხიათას ხუთი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით. მათ შორის 1780 ცალი (250მლ) ნატურალური წვენი „ჩერო"-ს ღირებულება შეადგენს 2314 ლარს, 1780 ცალი (20გრ) შოკოლადი „ბარამბინო"-ს -1157 ლარს ხოლო 1780 ცალი „ჩუპა-ჩუპსი"-ს კი- 534 ლარს.
2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.
2.3. დაფინანსების წყარო – 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

3. მხარეთა უფლება–მოვალეობანი

"მიმწოდებელი" ვალდებულია:
3.1. ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 20 დეკემბრამდე უზრუნველყოს შემსყიდველისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხიანი საქონლის მიწოდება.
3.2. შემსყიდველის მიერ მიწოდებული საქონლის შემოწმებისას უხარისხო ან/და ვადა გასული საქონლის აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს მისი ახლით შეცვლა.

"შემსყიდველი" ვალდებულია:
3.3. ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ხარისხიანი საქონლის დროულად მიწოდების შემდეგ აუნაზღაუროს მიმწოდებელს საქონლის ღირებულება ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლით გათვალისწინებული პირობებითა და ვადებში.

4. ანგარიშსწორება

4.1. უნაღდო ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის გადაცემის შემდეგ, შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და წარმოდგენილი საგადასახადო დოკუმენტაციის საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.
4.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელი იხდის ჯარიმას, სახელშეკრულებო ღირებულების 0.2% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
5.2. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
5.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს სახელშეკრულებო ღირებულების 1%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებელთან.
5.4. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელი იხდის ჯარიმას სახელშეკრულებო ღირებულების 5%-ს ოდენობით.

6. მიღება-ჩაბარების წესი

6.1. საქონლის მიწოდების შემდეგ ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს აწერს ორივე მხარე.

7. ფორს-მაჟორი

7.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.

7.2. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოებები შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით.

7.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავის შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას და ცდილობს გამონახოს ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორულ გარემოებათა ზეგავლენისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები

9.1 ხელშეკრულება შეიძლება დაირღვეს:

- მხარეთა შეთანხმებით;
- ფორს-მაჟორული სიტუაციით;
- ხელშეკრულების ცალმხრივი დარღვევა შესაძლებელია რომელიმე მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

10. ინსპექტირების პირობები

10.1 ხელშეკრულებას ინსპექტირებას უწევს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალური უზრუნველყოფის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.

10.2 მიწოდებული საქონლის ნაკლოვანებებს ინსპექტირების გამწევი პირი აფიქსირებენ ოქმით. დაფიქსირებული ნაკლოვანებების გამოსწორება ხდება "მიმწოდებლის" მიერ საკუთარი ხარჯებით.

11. დავის გადაწყვეტა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა მხარეებს შორის წყდება მოლაპარაკების გზით.

11.2. თანხმობის მიუღწევლობის შემთხვევაში დავა წყდება სასამართლოში.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაშია 2017 წლის 18 დეკემბრიდან 2018 წლის 01 თებერვლამდე.

13. მხარეთა იურიდიული მისამართი, საბანკო რეკვიზიტები

"შემსყიდველი"

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი
ქ. თეთრიწყარო, თამარ მეფის ქ .№34
ს/კ: 230869254
ა/ა GE24NB0330100200165022
სახელმწიფო ხაზინა
ბ/კოდი TRESGE22

"მიმწოდებელი".

შპს „მარკეტი დიდგორი"
ქ.თეთრიწყარო, დიდგორის ქ.№5
ს/კ: 430798229
ა/ა GE76LB0113149281655000
ს/ს „ლიბერთი ბანკი"
ბ/კოდი LBRTGE22

14. მხარეთა ხელმოწერები

გიორგი ქორიძე

მუნიციპალიტეტის მერი

ნუნუ ქოჩორაშვილი

შპს „მარკეტი დიდგორი"-ს დირექტორი